ხელშეკრულება № 51/12-3

დას. საბერიო 01. 05. 2012 წ

შპს "ენგურჰესი", იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი. ჭავჭავაძის ქ. №50, ფაქტიური მდებარეობა გალის რაიონი დას. საბერიო. შემდგომში „შემსყიდველად" წოდებული, მისი *დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის – ლევან მებონიას* სახით, რომელიც მოქმედებს საწარმოს წესდების საფუძველზე ერთის მხრივ და

შპს "ზურაბი და კომპანია", იურიდიული მისამართი: წალენჯიხა, სოფ. ნაკიფუ, შემდგომში "მიმწოდებლად" წოდებული, მისი *დირექტორის – ზურაბ აბულაძის* სახით რომელიც ასევე მოქმედებს საწარმოს წესდების საფუძველზე მეორეს მხრივ წინამდებარე ხელშეკრულებით თანხმდებიან შემდეგზე:

1. პრეამბულა

- მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება სრულიად გამოხატავს მათ ნებას და თანაბრად იცავს მათ უფლებებს, არცერთი მხარე არ სარგებლობს რაიმე უპირატესობით.
- მხარეები სრული პასუხისმგებლობით ადასტურებენ და იძლევიან გარანტიას, რომ წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს მათთვის ქმედითი იურიდიული ძალის მქონე და შესასრულებლად სავალდებულო სამართლებლივ დოკუმენტს.
- მხარეები სრული პასუხისმგებლობით აცხადებენ, რომ თითოეული მათგანი მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- მხარეები იძლევიან გარანტიას და ადასტურებენ, რომ მათ გააჩნიათ სრული სამართლებრივი უფლებამოსილება აღნიშნული ხელშეკრულების გასაფორმებლად.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. "შემსყიდველი" ავალებს, ხოლო "მიმწოდებელი" თანახმაა ურთიერთშეთანხმებულ ვადაში გაუწიოს <u>შემდეგი სახის მომსახურება:</u>
– დანართ № 1-ში აღნიშნულ ობიექტებზე საკადასტრო რუკის შედგენა.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. მომსახურების მიმდინარეობის კონტროლს განახორციელებს თ/კაშხლის ტექნიკური განყოფილების უფროსი – გ. სამუშია

3. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. გაწეული მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, რომელიც ასევე დადასტურებული უნდა იყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირის მიერ და დამტკიცებული პირველი პირის ან მისი მოვალეობის შემსრულებლის მიერ.

4. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

4.1. "მიმწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:

– მკაცრად დაიცვას მომსახურების გაწევის სახელშეკრულებო ვადები, უზრუნველყოს სათანადო ხარისხი;
– მომსახურების გაწევის უხარისხოდ შესრულების შემთხვევაში 10 დღის ვადაში აღმოფხვრას ნაკლოვანებები დამატებითი ანაზღაურების გარეშე.

4.2. "შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას:
– მომსახურების გაწევის შემდეგ ანაზღაურება განახორციელოს 6.4 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში.

4.3. მიაწოდოს შესყიდველს მაღალი სიზუსტით შესრულებული საკადასტრო რუკა.

5. მხარეთა პასუხისმგებლობები

5.1 ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ კანონით გათვალისწინებული წესით.

5.2 მხარეები ვალდებულებას კისრულობენ აუნაზღაურონ ერთმანეთს წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობით ერთმანეთისათვის მიყენებული ზარალი.

5.3 იმ შემთხვევაში, თუ "მიმწოდებელი" 2 დღეზე მეტად გადააცილებს მომსახურების გაწევის ვადას, მას სავალდებულო წესით ეკისრება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ჯარიმა "შემსყიდველის" წინაშე გაწეული მომსახურების ღირებულების 0,07%-ის ოდენობით.

5.4 გადახდის დაგვიანების შემთხვევაში "შემსყიდველი" გადაიხდის "მიმწოდებლის" სასარგებლოდ გაწეული მომსახურების ღირებულების 0,07%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების პირობები

6.1. სახელშეკრულებო თანხა გაწეულ მომსახურებაზე შეადგენს: 1700 (ათას შვიდასი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

6.2. ხელშეკრულების ფასი მყარია და შეიცვლება მხოლოდ მაშინ, თუ ორმხრივი შეთანხმებით შეიცვლება გასაწევი მომსახურების მოცულობა. ამ შემთხვევაში ცვლილებები აისახება ხელშეკრულებაზე დამატებითი შეთანხმების სახით.

6.3. ანგარიშსწორების ფორმაა-უნაღდო ანგარიშსწორება.

6.4. ანგარიშსწორება მხარეებს შორის ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერისა და ფინანსური დოკუმენტების წარდგენიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

7. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

7.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიღებიდან მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების შესაბამისად.

ნ.ქ.   ზ. ა.

8. ვალდებულებების შესრულების ვადები

8.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებისათვის საჭირო ქმედებას "მიმწოდებელი" იწყებს ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან.

8.2. მომსახურების გაწევის ხანგრძლივობა განისაზღვრება 45 დღით.

9.3. "მიმწოდებელს" უფლება აქვს თავისი ვალდებულებები შეასრულოს ვადამდე.

9.4. „მიმწოდებლის" მიერ მომსახურების გაწევის შემდეგ, მხარეები აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს, რომელიც ჩაითვლება „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების დასტურად.

10. ფორს - მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჭირო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი;

10.2 ფორს-მაჟორული გარემოება ნიშნავს ნებისმიერ მოვლენას, გარემოებას და ან მათ კომბინაციას, რომელიც არ არის კონტროლირებადი არც ერთი მხარის მიერ და რომელმაც (ან რომლის შედეგმაც) შეიძლება მნიშვნელოვნად და უარყოფითად იმოქმედოს მოცემული მხარის უნარზე შეასრულოს თავისი ვალდებულებები, რომელიც წარმოიშვება ამ ხელშეკრულების მიხედვით, თუმცა იმ პირობით, რომ ასეთი მოვლენა, გარემოება და ან მათი კომბინაცია არ ჩაითვლება ფორს-მაჟორულ გარემოებად, თუ იგი არ შეიძლებოდა მთლიანად ან ნაწილობრივ თავიდან აცილებულ ან გამოსწორებული ყოფილიყო დამკვეთი მხარის მიერ.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებები შეიძლება მოიცავდეს შემდეგ გარემოებებს, რომლებიც ვერ იქნება კონტროლირებადი მხარეთა მიერ: საომარი მოქმედება (გამოცხადებული ან გამოუცხადებელი), ბლოკადა, რევოლუცია, რადიოაქტიური დაბინძურება ან იონიზირებული რადიაცია, ხანძარი, მიწისძვრა, შტორმი, ციკლონი, ეპიდემია, საქართველოს აღმასრულებელი ან საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ გამოცემული ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზე შეუძლებელი ხდება წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

11. ცვლილებები ხელშეკრულებაში

11.1 ნებისმიერ შემთხვევაში ცვლილებები და მასთან დაკავშირებული პროცედურები ფორმდება როგორც დამატება ხელშეკრულებაზე და მხარეების ხელმოწერის შემდეგ წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. ამავე წესით ფორმდება მომსახურების გაწევის პროცესში გამოვლენილი დამატებითი სამუშაოს მოცულობები.

11.2 არავითარი ცვლილება არ მიიღება ცალმხრივად მხარეების წერილობითი შეთანხმების გარეშე.

12. სხვა პირობები

12.1. ყველა დამატება ან შესწორება ამ ხელშეკრულების ირგვლივ ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ხელმოწერილი და დადასტურებულია ორივე მხარის მიერ.

12.2. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს თანაბარი ძალა გააჩნია.

12.3. მხარეებს შეუძლიათ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება თუ მეორე მხარე არ ან ვერ ასრულებს სახელშეკრულებო პირობებს. შეწყვეტის შესახებ მხარეები ატყობინებენ ერთმანეთს დაუყონებლივ მიზეზების ჩვენებით. ხელშეკრულების შეწყვეტამ არ უნდა გამოიწვიოს რომელიმე მხარის უფლებების შელახვა.

12.4. სადაო საკითხები რეგულირდება ორმხრივი მოლაპარაკებით. თუ ეს მოლაპარაკება აღმოჩნდება უშედეგო, დავა გადაწყდება სასამართლო წესით საქართველოს კანონების მიხედვით.

12.5. ხელშეკრულება ძალაშია 2012 წლის 15 ივნისამდე.

13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
შპს "ენგურჰესი"	**შპს "ზურაბი და კომპანია"**
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი.	მისამართი: წალენჯიხა
ჭავჭავაძის ქ. № 50, ფაქტიური მდებარეობა	სოფ. ნაკიფუ
გალის რაიონი დას. საბერიო.	
სს „პროკრედიტ ბანკის" ქუთაისის	სს „ლიბერთი ბანკი"-ს
ფილიალის ზუგდიდის განყოფილება	წალენჯიხის ფილიალი
ბ/კოდი 220101929 ს/კოდი-251716371	ს/კ 242735714 ბ/კ 220102419
ა/ა 301467126	ა/ა GE95LB0117196458350000
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე	დირექტორი
_____ ლ. მებონია	_____ ზ. აბულაძე

ვიზა: ტექ. დირექტორი ----------

იურ. სამსახური ----------

შესყ. სამსახური ----------

ფინ. სამსახური ----------

ტექ. განყოფილება ----------

ბუღალტერია ----------

თ/კაშხალი ----------

ობიექტების ჩამონათვალი საკადასტრო ნახაზებისთვის

№	ობიექტის დასახელება	განზ	რაოდ
1	ადმინისტრაციული კორპუსი	კვ/მ	3047,79
2	საყალიბე საამქრო	კვ/მ	4509,33
3	სამჭედლო ბურღის გასამართი სახელოსნო	კვ/მ	80,43
4	მექანიკური სახელოსნო	კვ/მ	1194,13
5	სამჭედლო მექანიკური შენობა	კვ/მ	201,86
6	სასაწყობო შენობა	კვ/მ	1860
7	საკომპრესორო შენობა	კვ/მ	1939,33
8	სასაწყობო მეურნეობის ეზო (შენობების გარდა)	კვ/მ	11508,1
9	წყალსაქაჩი სადგური	კვ/მ	471,12
10	წყალჩამქრობის მიმდინარე ტერიტორია	კვ/მ	25679,85
11	ოლორის გადასასვლელის მარცხენა სანაპირო	კვ/მ	20190,17
12	ოლორის გადასასვლელის მარჯვენა სანაპირო	კვ/მ	196,73
13	ტებენას საგუშაგო ჯიხური მიმდიბარე ტერიტორიით	კვ/მ	100,02
14	შტოლნია №4-ის პორტალის მიმდიბარე ტერიტორია	კვ/მ	1500,02
15	ოლორის გადასასვლელი	გრძ/მ	225,53
16	წყალმომარაგების სადგური მდ. ცაღრაზე		
17	საერთო საკადასტრო რუკა		

"შემსყიდველი"
შპს "ენგურჰესი"
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

_____ ლ. მებონია

"მიმწოდებელი"
შპს „ზურაბი და კომპანია
დირექტორი

_____ ზ. აბულაძე